ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8102597

ნომერი: AR11162471

თარიღი : 24.09.2026

გაცემის თარიღი : 30.09.2026

გაცნობის თარიღი : 30.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების III შესახვევი, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაალ ნიჟარაძე პ/ნ 01026001513
- ცხვედაძის ქ. 16ბ

ორგანიზაცია:
- შპს "კოხტა უბანი" კოდი: 404893674

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 24 სექტემბრის №AR11162471 განცხადებით მომართა ზაალ ნიჟარაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებით, შეთანხმდა №01.10.18.009.191 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმაზე (ნიშნული+9.50) ბინა №7-ის საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები არასწორად არის მითითებული. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმა (ნიშნული+9.50) შეადარა შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმას და დაადგინა, რომ +9.50 ნიშნულზე განთავსებული ბინა №7-ის საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები გეგმაზე გამოტანილ შტამპზე არასწორად იყო მითითებული. ამასთან დგინდება, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება და ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +9.50 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 1 სექტემბრის №8066281 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.